ქონებისა და ბიზნესის სარეგისტრაციო სისტემა საქართველოში: ელექტრონული მმართველობის პრინციპები და NAPR-ის ონლაინ მომსახურება

ეკატერინე მესხიძე
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

"Land is the place of all shelter, in the city, the town the village and the home, it is the source of food, of materials for construction and manufacture, of coal, gas and oil, of springs and rivers and other essentials for life, indestructible, immovable, it is the foundation of all human activity. House and factories, forests and farmers, rivers roads the land. It offers endless opportunities for development and discovery. It is the ultimate source of wealth."

(Sir Charles Fortescue Brickdale 1913)

საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით მასშტაბური რეფორმები განახორციელა. სწრაფად მზარდ უძრავი ქონების ბაზართან ერთად განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დაინერგა ინოვაციური კონცეფციები, განსაკუთრებით მიწის ადმინისტრირების სისტემაში. რეფორმები მნიშვნელოვანი დასაწყისია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების გასაუმჯობესებლად, რასაც შედეგად მოჰყვება როგორც კიდევ უფრო დინამიკური მიწის ბაზრის, ისე საკრედიტო ბაზრის შექმნა. ეკონომიკურ განვითარებას კარგად ასახავს ბოლო წლების განმავლობაში ქონებრივი ტრანზაქციების ზრდის სტატისტიკა.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR) წარმოადგენს მიწის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს და ბოლო წლების განმავლობაში იგი იყო პირველი სახელმწიფო უწყება, მოწინავე რეფორმატორი და წარმატებული ორგანო, რომელმაც დანერგა ელექტრონული მართვის ძირითადი პრინციპები საქართველოში და კვლავაც აგრძელებს მიწის ადმინისტრირების სისტემის მდგრადი განვითარების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

თანამედროვე სამყაროში მომხმარებელი სულ უფრო და უფრო მომთხოვნია ხარისხის მიმართ. სასურველია, რომ პროდუქტი ან მომსახურება აკმაყოფილებდეს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ზუსტად ამ მიზეზით, მომხმარებელზე ორიენტირებული, მოქნილი სისტემის დანერგვას, რომელსაც შეეძლება მომხმარებლის მოლოდინის დაკმაყოფილება და გადაჭარბება რესურსების ეფექტური დაგეგმვის, თანაბრად განაწილების, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების გზით, გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობა მომსახურების სფეროში მომუშავე ნებისმიერი ორგანიზაციისთვის. საქართველოს ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია საზოგადოებისთვის ეფექტური და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფა. იუსტიციის სახლი შეიქმნა ამ კონკრეტული მიზნის მისაღწევად; მოცემული კონცეფცია "ერთი ფანჯრის" პრინციპზეა დაფუძნებული და აერთიანებს რამდენიმე უწყების აქტივობას ერთ შენობაში, როგორც მომსახურების, ისე ინფორმაციაზე წვდომის გამარტივების მიზნით.

განხორციელებულმა რეფორმებმა მომსახურება გახადა კიდევ უფრო მარტივი, მომხმარებელზე ორიენტირებული, ყოველგვარი კორუფციისგან თავისუფალი და ღირებული; ამან განაპირობა მსოფლიო ბანკის "Doing Business"-ის კვლევის შედეგი - ქონების რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივის კუთხით №1 რეფორმატორად საქართველო დასახელდა, რომელიც ბოლო სამი წელია მყარად იკავებს მოწინავე პოზიციას.

NAPR-ს სურს გააფართოოს მიწის ადმინისტრირების მომსახურება კერძო სექტორის საშუალებით და ამ მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა საჯარო უწყებებთან. მოქალაქეებს ეძლევათ არჩევანი - წარმოადგინონ ქონებისა თუ ბიზნესის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები NAPR-ის ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში ან ავტორიზებულ მომხმარებელთა ოფისებში. ავტორიზებული მომხმარებლები არიან უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი დაწესებულებები (ბანკები, უძრავი ქონების სააგენტოები და ა.შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ NAPR-ის მსგავს მომსახურებას.

სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია: წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, დააკვირდეს განაცხადის

განხილვის თითოეულ ეტაპს, მოიძიოს სარეგისტრაციო განაცხადები, გადაწყვეტილებები ან ამონაწერები საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით; იხილოს უახლესი ინფორმაცია ქონების ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის შესახებ, მოძებნოს ნებისმიერი მიწის ნაკვეთი საკადასტრო რუკაზე და მიიღოს დეტალური ინფორმაცია მისი საზღვრების, საკუთრების უფლების და უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების შესახებ, სწრაფად და მარტივად იპოვოს ქუჩები, გამზირები და სხვა ობიექტები (სასტუმროები, რესტორნები, ბანკები, მუზეუმები, სკოლები და ა.შ.).

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტო ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, რომელთა მიზანია გეოსივრცით მონაცემთა ბაზის შექმნა. ეს არის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო ელექტრონული საზოგადოებისთვის, როგორიცაა გარემოს ანალიზი, ტრანსპორტის დაგეგმვა და ლოჯისტიკა, ფიზიკური დაგეგმვა, მართვა და მართვის სისტემები სამაშველო და ავარიული მომსახურებისთვის, აგრეთვე, ნავიგაციისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგისთვის. ახლახანს განხორციელებულ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად შესაძლებელია ჩაითვალოს ერთიანი სამისამართო რეესტრის შექმნა. ზემოაღნიშნული პროექტი გამოირჩევა ბოლო პერიოდის რეფორმებს შორის, უპრეცედენტოა, მისი მასშტაბურობიდან, მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე. პროექტის ფარგლებში იგეგმება დაუმისამართებელი დასახლებული პუნქტების, ქალაქების, დაბების, სოფლების ქუჩების, კორპუსებისა და სახლების დანომვრა/სახელდება, მათი გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა და ინფორმაციის ასახვა ერთიან მონაცემთა ბაზაში. ერთ-ერთი წარმატებული პროექტია GEOCORS-ის - უწყვეტი, მუდმივმოქმედი საბაზისო GPS სადგურების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის სწრაფად, უმაღლესი სიზუსტით აზომვას, ხელს უწყობს მცირე ბიზნესისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს მთავრობის მთავარი გამოწვევაა ქვეყანაში დასრულდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაცია. ეს ხელს შეუწყობს საგენტოს გეომონაცემთა ბაზის გაუმჯობესებას/სრულყოფას და ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ელექტრონულ მართვასთან დაკავშირებით ხელისუფლების სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტულ საკითხად განისაზღვრა ურთიერთქმედების ეროვნული ჩარჩო. საჭიროების შემთხვევაში დაინერგება მომსახურების სხვადასხვა ტიპები მოქნილი და ურთიერთქმედი გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების მიზნით და განხორციელდება სტანდარტიზაცია ურთიერთქმედების მიღწევის წინაპირობის სახით.

საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, განაგრძოს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესის შეუქცევადობა.

დანართი 1. სტატისტიკა